სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
0114, თბილისი, გორგასლის ქ. №89
ტელ.: 275 39 90; ფაქსი: 275 39 90

LEPL
State Service of
Veterans Affairs
89 Gorgasali str., 0114 Tbilisi, Georgia
Tel.: 275 39 89; Fax: 275 39 90

№ 974/02-02-22/03

02 10 2015 წ.

ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის"
დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს
(მის.: თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №3)

ბატონო გიორგი,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში 2015 წლის 14 აგვისტოს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული თქვენი OPD08//15-123 წერილის პასუხად, ჩვენ მიერ გამოიგზავნა 2015 წლის 1 სექტემბრის №726/02-02-22/03 წერილი და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც შესაბამისი ინფორმაცია 2015 წლის 1 ოქტომბერს განთავსდა თქვენი ორგანიზაციის ვებგვერდზე (www.idfi.ge).

გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში დაშვებულ იქნა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ:

თქვენი ორგანიზაციის შეკითხვის პასუხად, რომელიც შეეხებოდა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატის ოდენობას, გეცნობათ, რომ სამსახურის დირექტორზე 2015 წლის ივლისის თვეში გაიცა დანამატი 2900 (ორი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან სამსახურის დირექტორმა, ირაკლი შიხიაშვილმა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ივლისის №1625 განკარგულების საფუძველზე 2015 წლის ივლისის თვეში დანამატის სახით მიიღო არა 2900 (ორი ათას ცხრაასი) ლარი, არამედ 1800 (ერთი ათას რვაასი) ლარი, რაც დასტურდება თანდართული დოკუმენტაციით.

ასევე გაცნობებთ, რომ სამსახურის დირექტორს, ირაკლი შიხიაშვილის თანამდებობაზე ყოფნის 12 თვის განმავლობაში პრემია სულ აღებული აქვს ორჯერ - 2015 წლის იანვარში (საახალწლოდ) 2900 (ორი ათას ცხრაასი) ლარი და 2015 წლის აპრილში (სააღდგომოდ) 2900 (ორი ათას ცხრაასი) ლარი, ხოლო დანამატი - ერთხელ, ზემოაღნიშნული ოდენობით.

ამასთან, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი არ არის უფლებამოსილი საკუთარ თავზე გასცეს დანამატი ან პრემია. სამსახურის დირექტორს დანამატი (1800 (ერთი ათას რვაასი) ლარის ოდენობით) დაწესებული აქვს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ივლისის №1625 განკარგულებით.

რაც შეეხება სამსახურის თანამშრომლებზე პრემიის, ხოლო 2015 წლის 24 ივლისიდან დანამატის გაცემას (საქართველოს მთავრობის აღნიშნული განკარგულებით აკრძალულია

ერთდროულად დანამატისა და პრემიის გაცემა), სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ 105 თანამშრომელზე 2015 წლის 1 იანვრიდან - 2015 წლის 1 აგვისტომდე, მარტის, აპრილის და ივლისის თვეებში სულ გაცემულია 161 315 (ას სამოცდაერთი ათას სამასთხუთმეტი) ლარი, მათ შორის მარტში - 28 345 (ოცდარვა ათას სამასორმოცდახუთი) ლარი, თანამდებობრივი სარგოს 20-50%-ის ფარგლებში, აპრილში - 91 050 (ოთხმოცდათერთმეტი ათას ორმოცდაათი) ლარი, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით, ივლისში - 41 920 (ორმოცდაერთი ათას ცხრაასოცი) ლარი, თანამდებობრივი სარგოს 30-50%-ის ფარგლებში. აღნიშნული განპირობებულია სამსახურის თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით, რათა წარმატებით განხორციელდეს სამსახურში დაწყებული ისეთი უმნიშვნელოვანესი პროექტები როგორებიცაა:

- ქ. გარდაბანში, ვეტერანთა და მათი ოჯახის წევრების ჩასახლებისა და დასაქმების მიზნით, ვეტერანთა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების მოწყობა;
- ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაცვა;
- ვეტერანთა მაღალი ხარისხის, თანამედროვე საპროთეზო საშუალებებით უზრუნველყოფა, სამედიცინო ტექნოლოგიების წამყვან გერმანულ კომპანია ,,OttoBock"-თან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში;
- ვეტერანთა შვილების განათლების დაფინანსების ხელშეწყობა;
- ვეტერანებისთვის თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა;
- კერძო სექტორის მხარდაჭერით მომსახურების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთათვის ფასდაკლების სისტემის შექმნა;
- გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახის წევრების ფინანსური დახმარება და სხვა.

გთხოვთ, უზრუნველეყოთ ზემოაღნიშნული ინფორმაციის თქვენი ორგანიზაციის ვებგვერდზე (www.idfi.ge) განთავსება, რათა ტექნიკური შეცდომის მიზეზით, საზოგადოებას არ მიეწოდოს არასწორი ინფორმაცია.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

სამსახურის დირექტორის
პირველი მოადგილე

მიხეილ ხომერიკი

სახელმწიფო
ბიუჯეტი

საგადახდო მოთხოვნა #02657

(დამტკიცებული ნაზებანში)

სახაზინო კოდი	54 00	დასახელება	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური		
ვალდებულების #	0473	მოთხოვნის საფუძველი	უწყისი; 36; 27/07/2015		
საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	2.1.1.1.4	თანხა ლარებში	1,440.00	თანხა სიტყვით	ერთი ათას ოთხასორმოცი ლარი
განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი				205309637	
დასახელება	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური				
მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი				01029007089	
დასახელება	ირაკლი შიხიაშვილი				
მიმღების ბანკის კოდი				LBRTGE22	
დასახელება	სს "ლიბერთი ბანკი" (საან.ცენტ.)				
ანგარიშის #	[redacted]			საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი	
გადახდის დანიშნულება	მიმდინარე წლის ივლისის თვის დანამატი - 2015 წლის ივლისის თვის დანამატი				

ბანკში გაიგზავნა:

27/07/2015 16:15

27/07/2015

ტრანზაქცია
განხორციელებულია

უწყისი №36
სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომელთა
2015 წლის ივლისის თვის დანამატი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

27.07.2015წ

№	სახელი გვარი	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო	%	დანამატი	საშემოსავლო	ხელზე ასაღები
1	ირაკლი შიხიაშვილი	დირექტორი	2900	62	1800,0	360,0	1440,0

ასლი ელდარან სწორია